# Alle Wörter mit A

*მოამზადა ხათუნა მჭედლიშვილმა*

## აქტივობა/ენობრივი თამაში

**სამიზნე ჯგუფი:** A1-B2

**აქტივობის მიზანი:** ლექსიკური მარაგის გააქტიურება/გამდიდრება, მართლწერის გაუმჯობესება

**ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური

**აქტივობისთვის საჭირო რესურსები:** პლაკატები, რომლებზეც სხვადასხვა ასო-ბგერა იქნება გამოსახული, წებოვანი ლენტი/ჭიკარტი

თითოეული მოსწავლე ირჩევს პლაკატს, რომელზეც დატანებულია რომელიმე ასო-ბგერა. მაგ. **A** და გარკვეული დროის(1-2 წთ) განმავლობაში წერს მაქსიმალურად ბევრ სიტყვას, რომელიც შესაბამის ასოზე იწყება, დროის ლიმიტის ამოწურვის შემდეგ, რასაც პედაგოგი პატარა ზარის ან რაიმე სხვა საშუალებით ანიშნებს (მაგ. მაღვიძარას ზარი), გადაინაცვლებს სხვა პლაკატთან, რომელზეც სხვა ასო-ბგერასთან დაკავშირებული სიტყვებია დაგროვილი და დაამატებს თავის სიტყვებს. აქტივობა შეიძლება გაგრძელდეს სურვილისამებრ. საბოლოოდ, პლაკატები გამოიკვრება კედელზე ან დაფაზე და მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაამატონ სიტყვები. დამატებით შესაძლებელია ასევე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)უცხო სიტყვების განმარტებაზე მუშაობა.

აღწერილი აქტივობის შესრულება შესაძლებელია შემდეგნაირადაც: ნაცვლად

ასო-ბგერისა მასწავლებელს შეუძლია თითო პლაკატზე დაიტანოს თითო თემა, მაგ.

*Kleidung, Lebensmittel u.s.w.*

**Kleidung**

Der Rock

Das

Kleid

Die Bluse

**A**

Apfel

Ampel

auf

**B**

Birne

Bus

Baum